

ხარჯთაღრიცხვა (განფასება)

აუდიტორული მომსახურების სახე	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა	დასკვნის მიწოდების ადგილი
<p>1. შპს „ჰიგიენა2009“-ის მიერ 2018 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ საწარმოს ბალანსის აუდიტი;</li> <li>▪ მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი;</li> <li>▪ ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი;</li> <li>▪ საწარმოს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი;</li> <li>▪ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტი;</li> <li>▪ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აუდიტი;</li> <li>▪ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აუდიტი (საქონლის შეფასების დროს მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოუსადეგარი, დაზიანებული, მწყობრიდან საბოლოოდ გამოსული, ჩამოსაწერი ქონების გამიჯვნა და მათი შეფასების ცხრილში ასახვა, ასევე მოამზადოს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაცია, სალიკვიდაციო აქტები და მიაწოდოს შემსყიდველს საქონლის თითოეულ სახეობაზე ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაცია და რეკომენდაციები;</li> <li>▪ არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების მოკვლევა, ინვენტარიზაცია, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით ცალკ-ცალკე;</li> <li>▪ აუდიტის პროცესში აქტივების დანაკლისის ან/და ზედმეტობის გამოვლენის შემთხვევაში, მათი ბუღალტრული ასახვისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში საბაზრო ღირებულების შესახებ დასკვნის წარმოდგენა;</li> <li>▪ ა.ა.რ. ფინანსთა ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 18 იანვრის № 01-01-10/222 ბრძანებით დამტკიცებული დანართების მომზადება და დამოწმება აუდიტორის მიერ (დანართი №1 – EXCEL-ის ფაილი, დამოწმებული აუდიტორის მიერ);</li> </ul>				<p>ხელშეკრულების დადებიდან 25(ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში</p>	<p>ქ.ბათუმი კ.გამსახურდიას #1, ბ 4-7</p>

<p>▪ 2018 წელს ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების აუდიტი და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.</p> <p>▪ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშების გასწორება 2019 წლის 1 იანვრისათვის არსებული საწყისი ნაშთების გათვალისწინებით.</p> <p>▪ პრეტენდენტი ვალდებულია შემოწმების ობიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს აუდიტის წარმოების პროცესში მისცეს რეკომენდაციები და გაასწორებინოს ფინანსური ანგარიშები, ხოლო დასრულებისთანავე გააცნოს და ჩააბაროს აუდიტორული დასკვნა.</p> <p>2. 2019 სამეურნეო წლის განმავლობაში შპს „ჰიგიენა 2009“ -ის საწესდებო კაპიტალში მოსალოდნელი წინასწარ დაუგეგმავი ცვლილებების თაობაზე დამდგარი აუცილებლობიდან გამომდინარე აუდიტორული დასკვნის მომზადება.</p> <p>3. საზოგადოების აქტივში „წინასწარ გაწეული ხარჯების“ ანგარიშზე (ანგ.1790) აღრიცხული თანხის (წარმოშობის დღიდან - 01.01.2019 წლამდე), რომელიც 01.01.2019 წლის მდგომარეობით შეადგენს 1862467 ლარს, რეალობის შესწავლა და მისი შემდგომ ბუღალტრულ გატარებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემა.</p>					
--	--	--	--	--	--